1970/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 11 (358)

1970 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 11 (358) ნოემბერი 1970 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11363

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. გ. შავგულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა დაწესების შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.

178. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე რესპუბლიკაში.

179. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ფოთის, წითელწყაროს, ბორჯომის და მაიაკოვსკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების მუშაობს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-მაიორ ი. ი. ცუპროვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. დ. გავლოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თადარიგის გენერალ-მაიორ ი. დ. შაიშმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ცხომარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

186. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის მ. ლ. ბზიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ო. ბულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ბ. მასხარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ლ. ა. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. გ. ხომიზურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვ. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაროსელსკის სახელობის საქარის საცდელი სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. გოგოხიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. კაჭარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ე. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. გ. მაყაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

171 ამხ. ს. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. სერგო იასონის ძე **ქაჯაია** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 4 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

172 ამხ. ს. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამხ. სერგო იასონის ძე **ქაჯაია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 4 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

173 ამხ. თ. ბ. შავგულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად ამხ. თამაზ გრიგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ძე შავგულიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 4 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 ამხ. ბ. ა. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი კონსტანტინეს ძე **ცქიტიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 23 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები.

2. საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭება სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, ლაბორატორიებისა და რესპუბლიკის მრეწველობის მართვის დაწესებულებათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, რომლებმაც უმწიკვლოდ იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და აქვთ განსაკუთრებული დამსახურება სამრეწველო წარმოების განვითარებისა და ეფექტურობის ამაღლების საქმეში.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭება კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს,

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და აქვთ განსაკუთრებული დამსახურება სოფლის მეურნეობის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და მეთოდების დანერგვის საქმეში.

4. საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭება შოფრებს, მემანქანეებს, მძღოლებს, მფრინავებს, ავტოსაგზაო, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და აქვთ მნიშვნელოვანი დამსახურება რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარების, გადაზიდვების ორგანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში.

შენიშვნა: სამრეწველო საწარმოების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, მრეწველობის სამმართველოების მოსამსახურეთ, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების მუშაკებს ზემოაღნიშნულ საპატიო წოდებებზე წარსადგენად უნდა ექნეთ უშუალოდ წარმოებაში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა თუ ტრანსპორტზე მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 10 წლისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 16 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1970 წლის 22 დეკემბერს, ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და 228-ე მუხლის მესამე ნაწილით".

2. ამავე კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანის გადაცემა სამეთვალყურეოდ მშრომელთა კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საზოგადოებრივი აღმზრდელისათვის — ამ უკანასკნელთა თანხმობით, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეებისათვის — მათი თხოვნით".

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს მე-8 პუნქტი.

ამავე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „აღმზრდელობით კოლონიებსა" შეიცვალოს სიტყვებით „სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებსა".

3. შეტანილ იქნეს ცვლილებანი სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 176. წყალსატევების გაბინძურება და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა

მდინარეების, ტბების, სხვა წყალსატევებისა და წყაროების გაბინძურება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური და სხვა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების გაუწმენდავი და არაუვნებელყოფილი ჩამდინარე წყლებით, ნაგავითა და ნარჩენებით, რამაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება ზიანი მიაყენოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და თევზის მარაგს, აგრეთვე ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოება ან ხე-ტყის დაცურება იმ წესების დარღვევით, რომლებიც დადგენილია თევზის მარაგის დასაცავად, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ან გამოიწვია თევზის მასობრივი განადგურება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

4. დაემატოს სისხლის სამართლის კოდექსს 251[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხლი 251[1] წყალსატევებისა და ჰაერის გაბინძურება, რამაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას

მდინარეების, ტბების, სხვა წყალსატევებისა და წყაროების გაბინძურება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური და სხვა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების გაუწმენდავი და არაუვნებელყოფილი ჩამდინარე წყლებით, ნაგავითა და ნარჩენებით, რამაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანების ჯანმრთელობას, აგრეთვე ჰაერის გაბინძურება ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მავნე სამრეწველო საწარმოთა ნარჩენებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე.

5. სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლს სიტყვების „ყაჩაღობა (მუხლები 96-ე — 152-ე)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (მუხლი 209[1]).

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„შემთხვევის ადგილის დათვალიერება, თუ ეს გადაუდებელია, შეიძლება ჩატარებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ასეთ შემთხვევაში, თუ კი არსებობს ამის საფუძველი, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება დაუყოვნებლივ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ“.

7. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 251[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმის წინასწარი გამოძიება მიეკუთვნოს პროკურატურის ორგანოების კომპენსაციას და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლს მესამე ნაწილში ციფრის „251“ შემდეგ დაემატოს ციფრი „251[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილის ამხ. გ. ბიწაძის, საქართვე-

ლოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. გ. კეჩხუაშვილის და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის, ამხ. ი. ხოხლოვის მოხსენებები, აგრეთვე პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანამაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ამ ბრძანებულების შესასრულებლად.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის რიგ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუდევარ გამოყენებას, მისი მოვლა-პატრონობის სახელმწიფო სტანდარტების უხეშ დარღვევას და მანქანა-იარაღების არასწორად ჩამოწერას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ძალზე მცირე დატვირთვით იყენებენ, ხოლო ზოგიერთ მეურნეობაში იგი სრულებით გამოუყენებელი რჩება. მაგალითად, გორის რაიონის ახალუბნისა და ფლავის კოლმეურნეობებში, აგრეთვე შავშვებისა და ბერბუკის საბჭოთა მეურნეობებში დღემდე არ არის გამოყენებული 1962-63 წლებში შემოტანილი საწველი აგრეგატები. სუსტად იყენებენ ტექნიკას ამბროლაურის, ახმეტის, წითელწყაროს, ზესტაფონისა და ლანჩხუთის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთი რაიონის მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალი წარმადობით გამოყენებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს მანქანა-იარაღების რემონტის უხარისხოდ და დაგვიანებით შესრულება. არადამაკმაყოფილებელია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარემონტო სახელოსნოების ტექნიკური აღჭურვილობა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხაშურის, საგარეჯოს, ახალქალაქის, ზუგდიდის, თერჯოლისა და რიგ სხვა რაიონში.

იმის გამო, რომ რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საკმარისი რაოდენობით არ არის ტექნიკის შესანახი ფარდულები, მოედნები და ბაქნები. მანქანა-იარაღები ინახება ღია ცის ქვეშ, ამასთან უხეშად ირღვევა ტექნიკის ღია წესით შენახვის სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნები (სიღნაღის, ასპინძის, წალკის, ადიგენის, ხობის, კასპისა და სხვა რაიონები).

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამოწერის წესების დაცვაზე ჯეროვანი კონტროლის უქონლობის გამო ხშირია ვარგისი მანქანა-იარაღების ჩამოწერის შემთხვევები, ხოლო ზოგჯერ არასწორად ჩამოწერილი მანქანები კერძო პირების ხელშიც კი ხვდება. მაგალითად, თელავის რაიონში კერძო პირთა მფლობელობაში აღმოჩნდა საექსპლუატაციოდ ვარგისი სხვადასხვა მარკის 7 ტრაქტორი; გურჯაანის რაიონის ჭანდარის კოლმეურნეობის ჩამოწერილი ტრაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეცა მოქ. ჯანიაშვილს, რომელსაც იგი იყენებდა პირადი სარგებლობისათვის. ტექნიკის ნაადრევი ჩამოწერის ფაქტებს ადგილი ჰქონდა ხელვაჩაურის, ხულოს, ქობულეთის, სოხუმის, ოჩამჩირის, ზნაურის, წულუკიძის, წალკის და სხვა რაიონებში.

ყოველთვის არ იყენებენ ტექნიკის ვარგის მარაგ-ნაწილებს. მაგალითად, გარდაბნის კიროვის საბჭოთა მეურნეობაში 1969-70 წლებში ჩამოწერეს 46.147 მანეთის ტექნიკა, მაგრამ არ გამოიყენეს მათი არც ერთი მარაგ-ნაწილი.

ტექნიკის მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ხელს უწყობს კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და „საქსოფლტექნიკის" მექანიზებულ რაზმებში მექანიზატორთა კადრების სიმცირე (მარნეულის, ცხაკაიას, სიღნაღის, გორის, ახალქალაქის, წყალტუბოსა და სხვა რაიონები).

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მძღოლთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამის შედეგად არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ისინი უხეშად არღვევენ მართვის წესებს, ტრაქტორებსა და მანქანებს აჩერებენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას და იყენებენ პირადი გამორჩენის მიზნით. გაიზარდა უბედურ შემთხვევათა რიცხვი ჩადენილი ტრაქტორისტების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მძღოლების მიერ.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია იმით, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა" მათდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ორგანოებისადმი იჩენენ ნაკლებ მომთხოვნელობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის უკეთ დაყენების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების შემოწმებას და შემოწმების შედეგების განხილვას, ამ საქმეში ფართოდ არ იზიდავენ დეპუტატებსა და აქტივს; შესაბამისი მუდმივი კომისიები იშვიათად იხილავენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის საკითხებს, არ ასრულებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის 1967 წლის 7 ივლისისა და 1969 წლის 24 დეკემბრის რეკომენდაციებს (ასპის, ხაშურის, თერჯოლის, წალკის და სხვა რაიონები).

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სისტემატურ ზედამხედველობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულებაზე, ნაკლებად სწავლობენ და ავლენენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივად დაუდევარი გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის ხელშემწყობ გარემოებებსა და გამომწვევ მიზეზებს, იშვიათად შეაქვთ წარდგინებები ასეთი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის თაობაზე, ტექნიკისადმი დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულებისათვის მკაცრ პასუხს არ სთხოვენ დამნაშავე პირთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, კვების მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაში სრული წესრიგის დასამყარებლად და ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) მიიღონ გადაუდებელი ზომები მათდამი დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებისათვის, დაწესებულ ვადებში რემონტის ხარისხიანად ჩატარებისათვის, მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობისა და დაცვის გაუმჯობესებისათვის;

ბ) აამაღლონ მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და მექანიზატორების პასუხისმგებლობა მანქანა-იარაღების ტექნიკური მდგომარეობისათვის; მკაცრი წესრიგი დაამყარონ ტექნიკის ჩამოწერის საქმეში;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მექანიზატორთა კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მძღოლთა, ტრაქტორისტთა და მექანიზატორთა შორის, განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მათთვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოსთხოვოს სახსოფლტექზედამხედველობის ინსპექციას მკვეთრად გააძლიეროს სახელმწიფო ზედამხედველობა მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური ექსპლუატაციის, მოვლა-პატრონობისა და ჩამოწერის წესების დაცვისადმი. უყურადღებოდ არ დატოვოს ტექნიკის დანაშაულებრივად დაუდევარი გამოყენების, არასწორი შენახვისა და უსაფუძვლოდ ჩამოწერის არც ერთი შემთხვევა.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ კონტროლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების განხორციელებისადმი, სესიებისა და აღმასკომის მსჯელობის საგნად გახადონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, შესაბამისი მუდმივი კომისიები და აქტივი.

სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობის სამმართველოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალი წარმადობით გამოყენებისა და სწორი მოვლა-პატრონობის საქმეში.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივად დაუდევარი გამოყენების ან შენახვის გამო პასუხისმგებლობის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობა. მოსთხოვოს თავის ადგილობრივ ორგანოებს მეტი ყურადღება დაუთ-

ბონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივად დაუდევარი გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლენას, ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი წარდგინებები შეიტანოს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსა და სოფლის მეურნეობების მმართველობის საერთანადო ორგანოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 ქ. ფოთის, წითელწყაროს, ბორჯომისა და მაიაკოვსკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქ. ფოთის, წითელწყაროს, ბორჯომისა და მაიაკოვსკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები პერიოდულად სწავლობენ და იხილავენ ახალგაზრდობასთან მუშაობის აქტუალურ საკითხებს, მონაწილეობენ საბჭოების სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგანიზაციას, სისტემატურად აწყობენ მათთვის ლექციებსა და საუბრებს, შეხვედრებს წარმოებისა და საკოლმეურნეო შრომის მოწინავეებთან, ტურისტულ ლაშქრობებს და სხვა.

ფოთის საქალაქო, ბორჯომის რაიონული, მაიაკოვსკის რაიონის ვარიცხის სასოფლო და მაიაკოვსკის სადაბო საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიებმა შეისწავლეს და განიხილეს საკითხები ორდღიანი დასვენების პირობებში ახალგაზრობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობის, სკოლებში ფიზკულტურული და სპორტული მოედნების კეთილმოწყობის შესახებ და სხვ. ანალოგიურ მუშაობას ატარებენ წითელწყაროს რაიონის ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები.

ფოთის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიასთან ერთად მოამზადა და აღმასკომის სხდომაზე განსახილველად შეიტანა საკითხი მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. წითელწყაროს რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ წითელწყაროს საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიასა და საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიონულ კომიტეტთან ერთად მოაწყო ახალგაზრდების შეხვედრა სამამულო ომის, ტექსელის აჯანყების მონაწილეებთან და სოციალისტური შრომის გმირებთან.

ბორჯომის რაიონის საქალაქო და წაღვერის სადაბო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიებმა მოაწყვეს შეხვედრა საშუალო სკოლადამთავრებულებთან, წვევამდელებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან და სხვა.

ქ. ფოთში ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის ინიციატივით დაწესდა „ახალგაზრდა დეპუტატის დღე“.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო, წითელწყაროს, ბორჯომის და მაიაკოვსკის რაიონების საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს მუშაობაში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი კომისია არ იხილავს გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს. კომისიის წევრები და აქტივისტები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ საკითხების დაყენებასა, შესწავლასა და განხილვაში. ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა რიგი მუდმივი კომისიის წევრები ჯერ კიდევ კარგად არ იცნობენ თავიანთ ფუნქციებს, სათანადო ურთიერთკავშირი არ აქვთ დამყარებული კულტურისა და განათლების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სხვა მუდმივ კომისიებთან.

კომისიები სათანადო მუშაობას არ ეწევიან ახალგაზრდობის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულობათა ჩადენის აღმოსაფხვრელად.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყოველთვის არ უწევენ სათანადო დახმარებას სასოფლო და სადაბო საბჭოებთან არსებულ ახალგაზრდობის მუდმივ კომისიებს, ნაკლებად ატარებენ მათთვის საინსტრუქტაჟო თათბირებს, აღმასკომების სხდომებზე იშვიათად იხილავენ ამ კომისიების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოგადაემცებში არასაკმარისად შუქდება ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების საქმიანობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო, წითელწყაროს, ბორჯომისა და მაიაკოვსკის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სისტემატური დახმარება გაუწიონ ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს, მიიღონ ზომები საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მათი როლის ასამაღლებლად, რისთვისაც:

ა) პერიოდულად ჩაატარონ კომისიის წევრთა საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები, ფართოდ გააცნონ მათ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, დაეხმარონ საკითხების შერჩევა-შესწავლაში და მიღებულ რეკომენდაციათა შესრულების ორგანიზაციაში;

ბ) მხარი დაუჭირონ კომისიების ინიციატივას დროულად და საფუძვლიანად განიხილონ მათი წინადადებანი და შენიშვნები, მიიღონ ზომები მათს განსახორციელებლად. მიაღწიონ იმას, რომ კომისიების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდეს ყველა წევრი და აქტივისტი;

დ) გააუმჯობესონ ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების კავშირი სხვა მუდმივ კომისიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მიაღწიონ

იმას, რომ მუდმივი კომისიები მეტ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, განათლების, პროფესიული მომზადების, შრომისა და კულტურული დასვენების საკითხებს. აგრეთვე მათ ფართოდ ჩაბმულ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. სისტემატურად იმუშაონ ახალგაზრდობასთან იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული სამართალდარღვევისა და დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევები;

ე) უზრუნველყონ ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების პერიოდულად გამოსვლა მოხსენებებით სესიებსა და აღმასკომებზე. აქტიურად ჩაებან ისინი სესიისა და აღმასკომის განსახილველ საკითხთა მომზადებასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში;

ვ) განაზოგადონ ახალგაზრდობის მუდმივი კომისიებისა და ახალგაზრდა დეპუტატების დადებითი გამოცდილება, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი გაზეთები და რადიოგადაცემები.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს საჭირო დახმარება გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს, პერიოდულად შეისწავლონ და სხდომებზე განიხილონ მუდმივი კომისიების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 27 ნოემბერი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 გენერალ-მაიორ ი. ი. ცუპროვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საფინანსო სამსახურის უფროსს, გენერალ-მაიორ ივანე ივანეს ძე ცუპროვს მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

181 ამხ. ა. ნ. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსი ამხ. არჩილ ნესტორის ძე **არეშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 მწერალ ნ. დ. გაგლოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ნიკოლოზ დავითის ძე **გაგლოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 თადარიგის გენერალ-მაიორ ი. დ. შაიშმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში უმწიკვლო სამსახურისა და მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თადარიგის გენერალ-მაიორი ივანე დიმიტრის ძე **შაიშმელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 ამხ. ა. ა. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქის ელექტრომეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. ალექსანდრე აგაბოს ძე ცქიტიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

185 ამხ. ნ. მ. ცხომარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე ცხომარია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

1363

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

186 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის მ. ლ. ბზიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მელქისედექ ლუკას ძე ბზიავა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

187 ამხ. ა. ო. ბულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის მმართველი ამხ. ანდრია ოთარის ძე **ბულია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

188 ამხ. ს. ბ. მასხარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ და სამეურნეო ორგაგნოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი სიმონ ბიჭიას ძე **მასხარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ლ. ა. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ლევან ალექსის ძე **ყანჩაველი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ობილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ბ. ხომიზურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლოზ მიხეილის ძე **ხომიზურაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

191 საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის საჭარის საცდელი სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის **საჭარის საცდელი სადგური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 ამხ. შ. დ. გოგოხიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ შოთა დორმენდონის ძე **გოგოხია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 ამხ. ა. ა. კაჭარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზღვაო ფლოტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ამხ. ანატოლი ალექსის ძე **კაჭარავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 ამხ. ბ. ე. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბორის ერმილეს ძე **ლომიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ამხ. ე. გ. მაყაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკავშირო ცენტრალური ლაბორატორიის გამგე ამხ. ელენე გიორგის ასული მაყაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებსა და გამომცემლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ამხ. გიორგი იოსების ძე ხუციშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით „**სახელოვანი დედის**“ ორდენებითა და „**დედობის მედლებით**“ დააჯილდოვა 305 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან 13
ქ. რუსთავიდან 2
ქ. ტყიბულიდან 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის	რაიონიდან	37
ბოგდანოვკის	„	25
ბოლნისის	„	23
გეგეჭკორის	„	20
გორის	„	11
გურჯაანის	„	2
დუშეთის	„	4
ზესტაფონის	„	7
ზუგდიდის	„	9
ლაგოდეხის	„	19
მაიაკოვსკის	„	5
მარნეულის	„	34
საგარეჯოს	„	30
სამტრედიის	„	11
ქარელის	„	8
წალკის	„	12
ცხაკაიას	„	6
ხობის	„	9
სამხრეთ ოსეთის ა/ო		15